N402 2015 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„განსაკუთრებით საშიშ პათოგენებსა და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისის №347 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „განსაკუთრებით საშიშ პათოგენებსა და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისის №347 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/05/2014, 470170000.10.003.017967) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ გეგმაში:

1. გეგმის შესავლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მიუხედავად იმისა, რომ გეგმის მიზანია ნორმალურ რეჟიმში მომსახურების მიწოდების შეძლებისდაგვარად დიდხანს შენარჩუნება, პათოგენური ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების შედეგად გაჩენილი პრობლემების თავისებურებისა და ასეთი დაავადებების სავარაუდო ხანგრძლივობის გამო, ზოგიერთი მომსახურების და მოქმედების შეზღუდვა გარდაუვალია ინფექციური დაავადების გავრცელების შემცირების, რესურსების ოპტიმალურად გამოყოფისა და განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფთა დაცვის მიზნით.

ძირითადი უწყებები	მხარდამჭერი უწყებები
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.“.

2. მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) კრიმინალურ ან ტერორისტულ აქტზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, დამატებით ახდენენ დანაშაულის ადგილის დაფიქსირებას და კანონით გათვალისწინებული კრიმინალური გამოძიებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისათვის აუცილებელი ქმედებების ინიციირებას, რათა დადგინდეს დაბინძურების წყარო და აღნიშნული აქტისათვის პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;

ბ) ახორციელებენ ბიოლოგიური ინციდენტის ზონაში მასობრივი პანიკის პრევენციასა და მართლწესრიგის უზრუნველყოფას.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**